

# „მოუსმინეთ“ ჟესტების ენაზე!

## იცით, როგორ უნდა იმღეროთ?

შეგიძლიათ იმღეროთ სიმღერა №41 „თაყვანი ეცი იეჰოვას სიჭაბუქეში“ სიმღერების წიგნიდან „უმღერეთ იეჰოვას“? ნახეთ ეს სიმღერა თქვენს სიმღერების წიგნში ან ჩამოტვირთეთ სიმღერის ტექსტი ვებ-გვერდიდან [jw.org](http://jw.org). (იხილეთ განყოფილება **პუბლიკაციები > წიგნები და ბროშურები**). სიმღერის ტექსტი შეგახსენებთ, რომ პატივი სცეთ მშობლებს და მოუსმინოთ იეჰოვა ღმერთს.



## იცით, როგორ მღერიან სმენადაქვეითებულები?

ისინი იყენებენ ჟესტების ენას. უყურეთ ამ სიმღერის ვიდეორგოლს რუსულ ჟესტების ენაზე ჩვენს ვებ-გვერდზე [jw.org](http://jw.org). (იხილეთ განყოფილება **პუბლიკაციები > ჟესტების ენა**). შეამოწმეთ, თუ გესმით ზოგიერთი ჟესტის მნიშვნელობა მაინც.

- ▶ **მითითება:** ერთ-ერთმა ამოარჩიეთ თქვენი საყვარელი მუხლი ქრისტიანულ-ბერძნული წერილებიდან („მათედან“ „გამოცხადების“ ჩათვლით). წაიკითხეთ ერთად ეს მუხლი და სთხოვეთ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს, რომ ეს მუხლი ჟესტებით გადმოსცეს. ბოლოს უყურეთ, როგორ კითხულობენ ამ მუხლს რუსულ ჟესტების ენაზე ჩვენს ვებ-გვერდზე [jw.org](http://jw.org). (იხილეთ განყოფილება **პუბლიკაციები > ჟესტების ენა**). დარწმუნდით, რომ ნამდვილად რუსული ჟესტების ენა აირჩიეთ). შეგიძლიათ თქვენც იგივე ჟესტები გაიმეოროთ?